



MOORE

საკანონმდებლო სიახლეები

ივნისი - აგვისტო, 2021

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

გვერდი 1-2

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №994

გვერდი 2



სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge



თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge



MOORE

T: +995 (322) 000 123

E: info@moore.ge

მისამართი: მარჯანიშვილის ქ. N6,
მწვანე შენობა, 0102, თბილისი,
საქართველო

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996, რომელიც გადასახადების ადმინისტრირებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- სრულად ამოღებული იქნა თავი V, რომელიც პირად საგადასახადო მრჩევლს შეეხება. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე არსებული ნორმები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ ბრძანების ძალაში შესვლის მომენტისათვის მოქმედ პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურების ხელშეკრულებებთან მიმართებაში, ამ ხელშეკრულებების მოქმედების ვადით (ძალაში შესვლის თარიღი 21 ივლისი);
- ჩამოყალიბდა უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე დღგ-ის გამოანგარიშების, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების და მისი ინფორმირების წესი. აღნიშნული წესი შეეხება პირებს, რომლებიც არ არიან დაფუძნებული, ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობენ საქართველოში ან/და არ გააჩნიათ საქართველოში ფიქსირებული დანესებულება და საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებენ ციფრული მომსახურების მიწოდებას. მსგავს პირებს დღგ-ის გამოანგარიშების და გადახდის ვალდებულება საქართველოს ბიუჯეტში, წარმოემგებათ 2021 წლის 1-ლი ოქტომბრიდან. დღგ-ის ანგარიშგებისა და გადახდის მიზნით, აღნიშნული პირები უნდა დარეგისტრირდნენ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულ პორტალზე "VAT Portal on Digital Services".
- შეიცვალა დანართი №11-06-ის („გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია“). დეკლარაციის დანართი „გ“ (დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე დაბრუნებული გადახდის წყაროსთან დაბეგრილი და დეკლარირებული სამემოსავლო გადასახადი, რომელიც ექვემდებარება აღდგენას) ამოღებულ იქნა;
- ინსტრუქციას დაემატა ახალი თავი „ცალკეულ შემთხვევებში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილი“, რომელიც ითვალისწინებს ისეთი შემთხვევების განსაზღვრას, როდესაც მომსახურების განვების ადგილი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162 პრიმა 1 მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-12-მე-14 ნაწილებისგან განსხვავებული წესით. აღნიშნულის შესაბამისად, განისაზღვრა, რომ ტურისტული პროდუქტის მიწოდებისას მასში შემავალი მომსახურებები, ჩაითვლება იმ ქვეყანაში განუღებლად, სადაც ხდება ამ მომსახურებებით ფაქტობრივი სარგებლობა ან/და გამოყენება;
- 72-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: „4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვისას, დღგ-ის ჩათვლის მიღების საფუძველია დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

- 72-ე მუხლის დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: „4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვისას, დღგ-ის ჩათვლის მიღების საფუძველია დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

- ა) არსებობს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვის შესახებ;
- ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე წარდგენილ საგადასახადო მოთხოვნაში ასახულია დღგ-ის თანხა;
- გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ საგადასახადო მოთხოვნაში ასახული თანხა ბიუჯეტში გადახდილია სრულად ან არასრულად გადახდის შემთხვევაში – საგადასახადო დავალებაში მითითებულია დღგ საქონლის იმპორტთან დაკავშირებით.“

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №994

25 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №994, რომელიც მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდებიდან უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესს შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილება:

მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- „2. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამართიებული წესი ვრცელდება საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ამავე საქმიანობის (საზოგადოებრივი კვების საქმიანობის) ნაწილში ჩამოწერას დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ (გარდა აქციზური საქონლისა).“.

მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 21 პუნქტი:

- „21. ამ წესის მიზნებისათვის, საზოგადოებრივი კვების ობიექტი არის რესტორანი, კაფე, ბარი, სწრაფი კვების ობიექტი, სასადილო, საკონდიტრო, საცხობი ან სხვა ობიექტი, რომლებიც ახორციელებენ საკვების დამზადებას და რეალიზაციას როგორც ადგილზე (მათ შორის, ე.წ. „თაიფ ევეი“ და „დრაივი“), ისე პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, მითანის (ე.წ. „დელივერი“ სერვისი) გზით.“.

„შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი. შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №25697 2021 წლის 05 აგვისტო. ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, საგადასახადო დოკუმენტების გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის შესახებ.“

აღნიშნული ბრძანებით:

- დღგ-ის გადამხდელად ახლად დარეგისტრირებული პირი, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მომენტიდან, ჩაითვალება არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელად;
- კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს ავტომატურად, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, უუქმდება კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი და მიენიჭება არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი, თუ მას შემოსავლების სამსახურში არსებული ინფორმაციის მიხედვით, არ უფიქსირდება მოქმედი საბანკო ანგარიშის ნომერი;
- საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრულ, აღიარებული საგადასახადო დავალიანების მქონე კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, უუქმდება კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი და მიენიჭება არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი;
- არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელისთვის კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი;
- „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ ბრძანების გამოცემისთანავე, ბრძანების გამოცემის შემდგომ პერიოდში განსახორციელებელ ოპერაციებზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქონების განკარგვის აკრძალვის უზრუნველყოფის მიზნით, გადასახადის გადამხდელს ეზღუდება სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის უფლება;
- აღნიშნულ შემთხვევაში, სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა დასაშვებია გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში განცხადების და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელსაც შეისწავლის ვალის მართვის დეპარტამენტი. სათანადო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, გადასახადის გადამხდელს მიეცემა საშუალება გამოწეროს შესაბამისი სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №13617.

დამტკიცდა ახალი სიტუაციური სახელმძღვანელოები:

- „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის შეღავათი საშემოსავლო გადასახადში“ N 1514;
- „სამორინის მონყობის სანებართვო მოსაკრებლისგან გათავისუფლება“ N 2545, რომელშიც აღწერილია, ახლად ამენებული არანაკლებ ასნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მონყობისას, სანებართვო მოსაკრებლისგან გათავისუფლების შემთხვევა.

ჩვენს შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის “Moore Global Network Limited”-ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.



>114

ქვეყანაში



>260

წევრი



>579

ოფისი



>30,809

თანამშრომელი

MOORE abc არის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ჩვენი სერვისები

